პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი შაბათი 8 ნოემბერი № 257 (17900) ფასი 2 კაპ.

მთელმა საბჭოთა სალხმა, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მეშრომელებმა, პლანეტის პროგრესულმა კაცობრიობამ დიდი აღმავლობით იზეიმეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავი.

მოსკოვი. წითელი მოედანი, 7 ნოემბერი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ოქტომბრის გზით — ახალი მიღწევებისაკენ!

სამხედრო პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

დღესასწაულს გილოცავთ, ამხანაგებო!

მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის დღეს!

ეს მისალმება უკვე 63 წელია გვესმის, მაგრამ იგი მუდამაჟამს გვაღელვებს და გვახარებს ხოლმე. რაღეთუ არ გვეგულება უფრო ახლობელი და ძვირფასი დღესასწაული, ვიდრე საბჭოეთის — მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების დღე.

საბჭოთა ხალხი ოქტომბრის წლისთავზე აფასებს გამოვლილ გზას, ამაყობს მოპოვებული გამარჯვებებით, სახავს ახალ დასალაშქრავ მწვერვალებს. ჩვენი მერჩისისადმი მტაცე რწმენა გამოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა: „... ჩვენს ქვეყანას 80-იანი წლების დამდეგს აქვს მძლავრი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები. ჩვენ გულდაჯერებით შეეყურებთ მერმისს“.

ოქტომბრის ახლანდელი წლისთავი სკკპ XXVI ყრილობის წინ აღინიშნება. პარტიული ფორუმისათვის მზადება განსაზღვრავს ქვეყნის ცხოვრების მთელ რიტმს, და ამიტომ სიტყვები „ოქტომბერი“ და „ყრილობა“ დღეს განუყოფელია. ეს სიტყვები მრავალგზის მეორდება წითელი მოედნის სადღესასწაულო მორთულობაშიც, სადაც 7 ნოემბერს გაიმართა მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადი და მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

„გუმ“-ის ფასადზე მოჩანს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტი. გვერდით ორი პანო — ისტორიისა და თანამედროვეობის გადაძახილი — „დიდი ოქტომბერი“ და „კომუნიზმი გაიმარჯვებს“. მატროსი, რომელსაც ტყვიამფრქვევების ლენტები შემოურტყამს ტანზე, და ჯარისკაცის ფარჯიანი გლეხი თითქოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის ესტაფეტას გადასცემენ შთამომავლებს — მეცნიერს, კოლმეურნეს, მუშას, ამაყად რომ აღუმართავთ დროშა, რომელზეც წერია: „პარტიის პოლიტიკას ვიწონებთ!“.

კრემლის კედელზე გამოსახულია სსრ კავშირის გერბი, მოკაკლილი ბაიონეტებისგან, ვშირე რესპუბლიკების გერბები: მაღალ ანძაზე სსრ კავშირის ალისფერი დროშა ფრიალებს. მოედნის გაყოფილებით თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ალმებია გაშლილი.

სასტუმრო ტრიბუნებზე შეკრებილან პარტიისა და რევოლუციის ვეტერანები, სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის გმირები, პირველი ხუთწლედების დამაკვრელები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, კოსმონავტები. აქ არიან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.**

დარბაზში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მხედართმთავრები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, კოსმონავტი მფრინავები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

დარბაზობაზე იყვნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების თვალსაჩინო მოღვაწენი.

სტუმართა შორის იმყოფებოდნენ აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ოქტომბრის 63-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმობაზე მოსკოვში ჩამოსული საზღვარგარეთელი სტუმრები, სამოვდელოების წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

დარბაზობაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობამ თბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

დასასრულ ხელოვნების ოსტატებმა გამართეს სადღესასწაულო კონცერტი. (საკდესი).

დარბაზობა კრემლის ყრილობათა სასახლეში

7 ნოემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ კრემლის ყრილობათა სასახლეში დარბაზობა გამართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავის გამო.

დარბაზობას დაესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.

დარბაზში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მხედართმთავრები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, კოსმონავტი მფრინავები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

დარბაზობაზე იყვნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების თვალსაჩინო მოღვაწენი.

სტუმართა შორის იმყოფებოდნენ აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ოქტომბრის 63-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმობაზე მოსკოვში ჩამოსული საზღვარგარეთელი სტუმრები, სამოვდელოების წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

დარბაზობაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

პატივცემული სტუმრებო!

პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მივესალმები ამ დარბაზში მყოფ საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

და თქვენი სახით, ამხანაგებო, მივესალმები სამხედრო პარადისა და მოსკოვის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციის ყველა მონაწილეს, ყველა ჩვენს თანამემამულეს, რომლებიც დღეს აღნიშნავენ თავიანთ უდიდეს დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს.

ჩვენ გვახარებს აგრეთვე, რომ აქ ვხედავთ სტუმრებს — უცხოეთის ქვეყნის სახელმწიფოს წარმომადგენლებს.

ათიათასობით საბჭოთა ადამიანმა ჩაიარა დღეს ისტორიულ წითელ მოედანზე. მეომრებმა, როგორც შეჰფერით, იარაღით ხელში ჩაიარეს. მუშებმა, მოსამსახურეებმა, მეცნიერებმა და მშვიდობიანმა პროფესიების სხვა ადამიანებმა — შრომითი გამარჯვებების პატაკებითა და კომუნისტურ მშენებლობაში ახალი სახელოვანი საქმეებისათვის მოწოდებებით, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ლოზუნგებით.

ამით კარგად აისახა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშან-თვისება — საკუთარი ძალების რწმენა, აქტიური ბრძოლა მშვიდობის დამკვიდრებისათვის, დაძაბული შემოქმედებითი შრომა ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

წლეულს განსაკუთრებული დღესასწაული გვაქვს: ქვეყანა ამთავრებს მეათე ხუთწლედს, იწყებს თავისი განვითარების ახალ ეტაპს, ეგებება თავისი კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას.

განვლილ ხუთწლედში ბევრი რამ გაკეთდა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში. ყველანი სამართლიანად ვამაყობთ ამით. არც ისე ცოტა გვაქვს გადასაჭრელი პრობლემები. საამისოდაა ახლა მიმართული პარტიის აზრი, მთელი ხალხის მეცადინეობა.

დიდი და პასუხსაგები საქმეები მოელით საბჭოთა ადამიანებს ახალ ხუთწლედში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში.

მაშ, ვუსურვოთ ყველას წარმატებები და შემოქმედებითი გამარჯვებები ხალხის საკეთილდღეოდ!

ჩვენს უცხოელ სტუმრებს კი მინდა აღვუთქვა, რომ საბჭოთა კავშირი ნიადაგ ერთგული იქნება თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობიანი კურსისა, გადაჭრით იბრძოლებს გამალებული შეიარაღებისა და სამხედრო ავანტიურების წინააღმდეგ, ყველა სახელმწიფოს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის.

ამ საქმეში მხარში გვიდგანან ჩვენი მოკავშირენი — მომძლე სოციალისტური ქვეყნები. ამაში მხარს გვეჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი, მაშასადამე დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა.

გთავაზობთ სადღეგრძელოს:

— გაუმარჯოს ჩვენს ლენინურ პარტიას!

— გაუმარჯოთ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას და შრომითს ინტელიგენციას!

— გაუმარჯოთ ჩვენი სამშობლოს მამაც დამცველებს!

— გაუმარჯოს მტკიცე მშვიდობას, წარმატებით განგვეგრძოს მშვიდობიანი კომუნისტური მშენებლობა!

* * *

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობამ თბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

დასასრულ ხელოვნების ოსტატებმა გამართეს სადღესასწაულო კონცერტი. (საკდესი).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ამხანაგო საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენო პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით დიდ სალამი მოგესალმებით და მოგილოცავთ ყველას, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავს.

პატრიოტული სიამაყის გრძნობით ეგებებიან საბჭოთა ადამიანები დიდი ოქტომბრის 63-ე წლისთავს. ჩვენთან ერთად ამ თარიღს ზეიმით აღნიშნავენ სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ოქტომბრის დღესასწაული წელს იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ მას სკკპ XXVI ყრილობის წინ აღვნიშნავთ, მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა ხალხი პარტიის მორიგ ყრილობას ხვდება ძალ-ღონითა და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე და წარმატებით შრომობს მეათე ხუთწლედის გეგმის დასამთავრებლად. ქვეყანაში გამეფებული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის მკაფიო გამოხატულებაა საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების უდიდესი გაქანება. მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის ახალი მოზღვავება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებამ და ამ პლენუმზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ.

მუშათა კლასის, კოლმეურნეგლეხობის, სახალხო ინტელიგენციის თავდადებულმა შრომამ მესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. მტკიცდება ჩვენი სამშობლოს ძლიერება, განუწყვეტლივ იზრდება მისი ეროვნული სიმდიდრე, ხორცს ისხამს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების პროგრამა, მტკიცედ ვითარდება სოციალისტური ინდუსტრია — მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველი, სულ უფრო ინტენსიური ხდება სოფლის მეურნეობა.

ამინდის ძნელ პირობებში სოფლის მშრომელებმა ყველაფერი იღონეს, რათა უდანაკარგოდ აეღოთ წლეგანდელი მოსავალი. ახალი აღმავლობის გზაზეა სამამულო მეცნიერება და კულტურა. მიმდინარეობს ჩვენი ხალხის შემდგომი იდეურ-პოლიტიკური შეკავშირება, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცება, სოციალისტური დემოკრატიის განვითარება.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, შეიარაღებული ძალების მეომრები მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად თანამიმდევრულად იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შენარჩუნება-გაღრმავებისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის. საერთაშორისო პოლიტიკაში მშვიდობისმოყვარულ მიმართულებას უპირისპირდებიან ჩაგვრის, მილიტარიზმისა და აგრესიის ძალები, ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული ნატოს ბლოკის მოქმედება. ისინი ისწრაფვიან, თავს დაატეხონ კაცობრიობას „ცივი ომის“ ახალი ტალღა, აძლიერებენ საომარ სამზადისს. მორიგ ნაბიჯს, რომელიც კიდევ უფრო ზრდის რაკეტულ-ბირთვული კონფლიქტის საფრთხეს, წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „ახალი ბირთვული სტრატეგიის“ მიღება ამერიკის შეერთებულ შტატებში. მსოფლიოს დაძაბულ ვითარებას კიდევ უფრო მეტად ართულებს პეკინის შემდგომი დაახლოება ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების ყველაზე აგრესიულ წრეებთან.

მშვიდობის მტრების ხრიკები მოითხოვს ნიადაგ ვიფხიზლოთ, განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა, რათა იმპერიალიზმმა ხელი აიღოს სამხედრო უპირატესობის მიღწევის პრეტენზიებზე. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა განაცხადა: „ჩვენ არ ხელყოფთ არავის მიწა-წყალს, არ ვერევთო არავის საშინაო საქმეებში, მაგრამ ჩვენს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს მუდამ დავიცავთ“. საბჭოთა შეიარაღებული ძალები ფხიზლად დგანან დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე. მათ აქვთ ყოველივე საჭირო, რათა უკუაგდონ და გაანადგურონ ნებისმიერი აგრესორი.

პარტიისა და ხალხის მუდმივ მზრუნველობას საბჭოთა მეომრები უპასუხებენ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ახალი წარმატებებით, შესანიშნავი პატრიოტული საქმეებით. საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება მათი წვლილია პარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრის საქმეში. საბჭოთა შეიარაღებული ძალის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მოძმე არმიებთან ერთად მუდამ მზად არიან მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალისტური ვალი.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის თანამიმდევრულ მებრძოლს!

ვაშა!

✦

მოედანზე ძალუმად გაისმის სამგზის „ვაშა!“. გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები. გაერთიანებული ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

ისტორიის მუზეუმის მხრიდან მოისმის დოლის ხმა. ჯარების პარადს ტრადიციისამებრ ხსნის მეოდოლეთა და მედაფდაფეთა — მოსკოვის სამხედრო-სამუსიკო სკოლის აღსაზრდელთა კოლონა.

მავზოლეუმის წინ ჩაიარეს მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის, ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემიის, საბჭოთა კავშირის მარშლის რ. ი. მალინოვსკის სახელობის ჯავშნასატანკო ჯარების სამხედრო აკადემიის, ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის, საბჭოთა კავშირის მარშლის ს. კ. ტიმოშენკოს სახელობის ქიმიური დაცვის სამხედრო აკადემიის, ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საავიაციო აკადემიის, პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საავიაციო საინჟინრო აკადემიის მსმენელებმა.

თეთრ-ცისფერი წითელვარსკვლავიანი დროშით მოდიან შავი ზღვის პ. ს. ნახიმოვის სახელობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის აღსაზრდელები. წელს მათ წილად ხვდათ პატივი პარადზე სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებად გამოსულიყვნენ.

მარშზე არიან მედესანტე პარაშუტისტები. მათ ცალიან მოსკოვის უმაღლესი სასაზღვრო საგანგებო სასწავლებლის კურსანტები, რომელიც მოსკოვის საბჭოს ეგზეკუტივის ბრძანებულებით, ოქტომბრის 63-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმობაზე მოსკოვში ჩამოსული საზღვარგარეთელი სტუმრები, სამოვდელოების წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

დარბაზობაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ხანგრძლივ ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობამ თბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

დასასრულ ხელოვნების ოსტატებმა გამართეს სადღესასწაულო კონცერტი. (საკდესი).

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია გაიხსნება 1980 წლის 12 ნოემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 10 და 11 ნოემბერს 9-დან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ტელეფონი: 99-58-19, 99-05-48, 98-78-07.

12 ნოემბერს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1980 წლის 12 ნოემბერს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

(დასასრული მე-2 გვ.)

ოქტომბრის გზით — ახალი მიღწევებისაკენ!

(დასასრული)

მოდიან ტაქტიკური და საოპერაციო-ტაქტიკური რაკეტები. მერაკეტთა პირადი შემადგენლობის წარმატებას მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ. ბევრი მეომარი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. მერაკეტეებმა პრაქტიკულად ყველა საბრძოლო სროლა მაღალი შეფასებით შეასრულეს.

საბჭოთა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა დიდი ოქტომბრის 63-ე წლისთავი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ახალი მიღწევებით აღნიშნეს. ხალხის, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული მეომრები მუდამ მზად არიან მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი — აღდგენენ სამშობლოს, სოციალიზმის დიად მონაპოვართა დასაცავად.

ტრიბუნებს ჩაუარეს ათასსაუვირიანი გაერთიანებული ორკესტრის რიგებმა. სამხედრო პარადი დამთავრებულია.

გაისმის დაფდაფების ხმა. აღლუმის მკაცრ ფერებს ცვლის ფერთა სადღესასწაულო ცისარტყელა, რომელთა შორის ალისფერი გამოირჩევა. მოედანზე გამოჩნდნენ დემონსტრაციის შესავალი ნაწილის მონაწილენი. კოლონების წინ წითლად გიზგიზებს ცისფერი „63“ და სიტყვა „ოქტომბერი“.

რიგების თავზე მოჩანს მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები. დემონსტრანტებს მოაქვთ ტრანსპარანტები, რომლებიც ადიდებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას, ალისფერი დროშების არშიაში ჩაუსვამთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტი. აინთო ილუმინირებული ასოები და დაიწერა ლოზუნგი „დიდება პარტიას!“

გაისმის საოქტომბრო მოწოდება: „ღირსეულად შეეხვედეთ სკკპ XXVI ყრილობას!“.

პარტიის საოქტომბრო მოწოდებები მოქმედების პროგრამა გახდა ქვეყნის ისტორიის დიდმნიშვნელოვან ეტაპებზე. 1927 წელს სკკპ (ბ) XV ყრილობის წინ, რომელმაც სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის დირექტივები მიიღო, პარტიამ გამოაცხადა ლოზუნგები რევოლუციის მეათე წლისთავისათვის. ერთი მათგანი აცხადებდა: „სსრ კავშირი მსოფლიოს ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ეროვნების ძმურ კავშირს და მათი ეკონომიკურ-კულტურული განვითარების სრულ შესაძლებლობას“. მაშინ, ახალგაზრდა რესპუბლიკა პირველი ხუთწლედისათვის ეშზადებოდა. დღეს განვითარებული სოციალიზმის ქვეყანა წარმატებით ამთავრებს მეათე ხუთწლიან გეგმას. ათი ხუთწლედი ისტორიისათვის მცირე ვადაა, მაგრამ რამდენი რამ გაკეთდა ამ დროის მანძილზე!

განვლილმა წლებმა დაადასტურა პარტიის მიერ შემუშავებული ეკონომიკური სტრატეგიის სისწორე. ახლანდელი ხუთწლედი ღირსეულ ადგილს დაიკავებს საბჭოთა ხალხის გმირულ საქმეთა ისტორიაში, რომელიც გულდაჯერებით მიიწევს წინ კომუნიზმის გზით, ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე.

პარტიის სიტყვა მხურვალე გამოხმაურებას პოულობს ადამიანთა გულში. მოდიან კოლონები, რომლებსაც მოაქვთ მოსკოვის მშრომელთა პატაკები ხუთწლედის დავალებათა შესრულების, სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებების შესახებ. ყოველივე საუკეთესო, რაც კი მშრომელ მოსკოვს გაუკეთებია, ყრილობას ეძღვნება. თითქოს დედაქალაქის მიღწევათა მატიანის სტრიქონებია, ყველგან მოჩანს პატაკები: 500-ზე მეტმა სარეწელო საწარმომ შეასრულა ხუთწლედი, ათასობით მშრომელმა შეასრულა პირადი წლიური დავალენი 7 ნოემბრისათვის. ორ მილიონამდე კაცმა — დაახლოებით ყოველმა მეოთხე მოსკოველმა — გაიუმჯობესა საბინაო პირობები.

მოედანზე შემოდის დედაქალაქის სიჭაბუკე. მოდიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლების მოსწავლენი, სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მებრძოლები. ეღერს სამეურნე:

„არ დავტოვებ კომკავშირს, მარად ნორჩი ვიქნები!“

ახალგაზრდაა სოციალისტური ქვეყანა, ახალგაზრდაა საბჭოთა ხალხი — ახალგაზრდაა რევოლუციური ენთუზიაზმით, ოპტიმიზმით, საქმით, რომლის სიმართლე ისტორიამ დაამტკიცა.

მოედანზე გამოჩნდა მოსკოვის XXII ოლიმპიადის ასპარეზობის ნაცნობი ემბლემა. ქალაშვილებს მოაქვთ ერთმანეთში გადაქდობილი ოლიმპიური რგოლები. ასპარეზობაზე საბჭოთა სპორტსმენებმა 195 მედალი მოიპოვეს. ზოგიერთი გამარჯვებული, რომელთა სახელები შევა ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში, ღღეს დემონსტრანტთა შორის არის.

კოლონების თავზე ფრიალებს ლოზუნგი — „დაძაბულობის შენელება, თანამშრომლობა, უშიშროება!“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყველას უჩვენებენ მაგალითს, თუ როგორ უნდა ბრძოლა ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, სოციალიზმის ქვეყნებისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირებისათვის. ეს კვლავ დამაჯერებლად აღინიშნა საზეიმო სხდომაზეც, რომელიც კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა 6 ნოემბერს.

მანიფესტაციის მონაწილენი ჩერდებიან, წითელ მოხაკებს მაღლა სწევენ და ერთხმად გაიძახიან! „პარტიის პოლიტიკას მხარს უჭერთ, ვიწონებთ!“.

მავზოლეუმის კიბეებზე პიონერებმა აირბინეს. მათ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ყვავილები და წითელი ბაფთები მიართვეს.

გაისმის სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა ხალხის, სოციალისტური სამშობლოს სადიდებელი სიტყვები.

ეღერს პარტიისადმი მიძღვნილი სიმღერის საზეიმო მელოდია. მოედნის ცენტრში მოჩანს ვლადიმერ ილიას ძის უზარმაზარი პორტრეტი. მის ქვეშ წარწერილია: „დაე, მარად ცოცხლობდეს დიდი ლენინის სახელი და საქმე!“ კოლონებს მოაქვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები, მოედანზე გაისმის მძლავრი „ვაშა!“.

შემოაქვთ საბჭოთა დედაქალაქის დროშა. წინ მიუძღვის ტრანსპარანტი: „გმირი ქალაქი მოსკოვი“. რამდენიმე ნაკადად შემოდიან მოედანზე დემონსტრანტთა კოლონები.

პირველთა შორის არიან ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის წარმომადგენლები. მათი სადღესასწაულო სვლის მუდმივი თანამგზავრია „ზილის“ მაკეტი. ხუთწლედის დამდეგიდან საწარმომ გეგმის გადაჭარბებით 7.200 ასეთი მანქანა გამოუშვა.

დემონსტრანტთა შორისაა რევოლუციის ბელადის დაბადების 110 წლისთავს აღსანიშნავად პირად ხუთწლიან დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორი მუქდელი ა. მედვედევი. მან 22 აპრილს შეასრულა ხუთწლიანი პროგრამა. დღეისათვის კი ეს მოჯა ქარხანაში 11 ათასზე მეტმა კაცმა დაძლია.

— მხოლოდ საუკეთესო მოწყობილობით უზრუნველყოფდა ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს ჩვენი ქარხანა, — თქვა მან. — ახლა ჩვენთვის მთავარია მომავლისათვის ზრუნვა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ერთხელ კიდევ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანათმშენებლობის შემდგომ აღმავლობას. ახლახან ქარხანაში შეიქმნა ჩარხი, რომელსაც ელექტრონიკა მართავს. ამ პროდუქციის სერიულ გამოშვებას, რომელიც შეუმუშუბუქებს შრომას ათასობით მუშას, სკკპ XXVI ყრილობის წინ დაიწყებს ჩვენი კოლექტივი.

„გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს — საერთაშორისო მუშათა კლასის ნაკად და მძლავრ იარაღს!“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს მოწოდება მხურვალე გამოხმაურებას პოულობს თითოეული საბჭოთა ადამიანის გულში. წითელპროლეტარელებს დიდი წვლილი შეეტვთ თანამშრომლობაში სოციალისტურ ქვეყნებთან, სადაც კარგად არის ცნობილი მათი პროდუქცია. ძმური მეგობრობის მკაფიო მაგალითი გახდა კოლექტივის წვლილი ჰანოის ჩარხსაშენებელი ქარხნის — სოციალისტური ვიეტნამის ინდუსტრიის პირმშოს დაბადებაში.

კოლონებს მოაქვთ ლოზუნგები, რომლებიც ადიდებენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა ერთიანობასა და შეკავშირებას. მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ იცის, რომ სსრ კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები მშვიდობის მთავარი ბურჯია, რომ სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია.

„კრასნი პროლეტარის“ ქარხნის წარმომადგენლთა მხარდამხარ ჩაიარეს მოედანზე მათმა კოლეგებმა — სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მუშებმა და კონსტრუქტორებმა. კოლექტივის შრომითი მიღწევების მრავალ ანგარიშს შორის არის ასეთიც: „საწარმო დაჯილდოებულია „ოქროს მერკურის“ საერთაშორისო პრემიით“. ათობით ქვეყანაში მდის ამ ქარხნის მოწყობილობა. მაღალი ხარისხი, მწარმოებლობა და საიმედოობა საბჭოთა აგრეგატებს შესაძლებლობას აძლევს წარმატებით გაუწიოს კონკურენცია საზღვარგარეთის ფირმების საუკეთესო ნიმუშებს. ამ ჩარხებს იცნობენ განვითარებადს ქვეყნებიც. ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული საბჭოთა კავშირი ეხმარება კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებს, რომ შექმნან ეროვნული ეკონომიკა, მომამზადონ კადრები სახალხო მეურნეობისათვის, ეხმარება მეცნიერების, კულტურის განვითარებაში.

მოკაშკაშე ნათურების გირლანდი შემორტყმია გენერატორს პანოზე, რომლითაც მოედანზე შემოვიდნენ მოსკოვის ავტომატარაქტორო ელექტრომშენებლობის ქარხნის მშრომელები, ხუთწლედის დავალებანი აქ ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიზიდვით შეასრულეს, დასახულის გადაჭარბებით 7 ნოემბრისათვის გამოშვებული 18 მილიონი მანეთის პროდუქცია.

დღეს მეწინავეთა რიგებში ყოფნის უფლება იმათ მიეჩქათ, ვინც ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კოლექტივის მიღწევებში. ამხანაგებთან ერთად სადღესასწაულო სვლაში მონაწილეობს ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერი ვ. ლეგკოვი. ოც წელზე მეტი მოახმარა მან ქარხანას, რომელიც მისთვის მშობლიური გახდა.

— შარშან აღვნიშნეთ საწარმოს ნახევარი საუკუნის იუბილე, მაგრამ ქარხანა წლითიწლობით ახალგაზრდავდება, — თქვა მოწინავემ. — ახლის მუდმივი ძიება, ენთუზიაზმი — აი რა არის ჩვენი კოლექტივის დამახასიათებელი ნიშნები. მოქმედების პროგრამა გახდა ჩვენთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ, რომლის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე.

როცა ადამიანებს უნერგავს შრომისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას, ქარხანა დღენიადაგ ზრუნავს მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. წელს, მაგალითად, მუშათა და მოსამსახურეთა 200 ოჯახი იდღესასწაულებს ახალმოსახლეობას.

მეათე ხუთწლედი კეთილმოწყობილი ბინით თითოეული ოჯახის უზრუნველყოფისათვის პარტიის კურსის თანამიმდევრული განხორციელების მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა. დედაქალაქის ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია უკვე დღეს უპატაკებს სამშობლოს ხუთწლედის დავალებათა შესრულებას. მათ შორისაა № 3 სახლთსაშენებელი ტრესტი, რომელსაც ელექტროენერგეტიკა ბინა-ბინა ერგებოდა. ეს ტრესტი ოლიმპიური ობიექტების აგებისას ვიყენებდით. მათ ხომ სპორტსმენთა, ახლა კი ახალმოსახლეთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს, — თქვა ნაკადის უფროსმა, შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ნ. პარშინმა.

დემონსტრაცია გრძელდება. ალმების, ტრანსპარანტების, მხატვრული პანოების ზღვაში ვხედავთ ნაცნობ სახელწოდებებს: „პარიზის კომუნა“, „ნამალი და ურო“, № 1 სახელმწიფო საკისრის ქარხანა.

ახალი ხასხასა ფერები. შემოდგომის მზის სხივებზე კოლონების თავზე ათასფერად ელვარებს სხვადასხვა ქსოვილი. „ტრიოხგორკის“ ფეიერის ამაყად მოაქვთ მოედანზე პატაკი: „ხუთწლედის



სურათებზე: მოსკოვი. 7 ნოემბერი. მოდის სამხედრო ტექნიკა (ზემოთ); ფიზკულტურელები წითელ მოედანზე.

საკლეს-საქინფორმის ფოტო.

წელს საწარმოს კონვეიერებიდან ჩამოვიდა დიზელსამძრავიანი ახალი ავტომობილი, რომელსაც შეუძლია გადაიყვანოს დიდტვირთიანი ავტომატარებლები. ჩინებული თვისებები ცხადყო მან წლევანდელ ალოობაში. ყაზახეთის მინდვრებში მომუშავე ათასობით ავტომობილს შორის იყო სრულიად საკავშირო შაბათობის დღეს კოლექტივის მიერ დამზადებული სატვირთო ავტომანქანების კოლონაც.

— პარტიის XXV ყრილობის მიერ შემუშავებული ეკონომიკური სტრატეგია ხუთწლედისათვის ქვეყნის მუშათა კოლექტივების მთავარი კანონი გახდა, — თქვა ყრილობის დელეგატმა, სოციალისტიური შრომის გმირმა მეინსტრუმენტე ზეინკალმა ვ. პავლოვკიმ. — დღეს მშრომელი მოსკოვი მარტოოდენ როდი უპატაკებს სამშობლოს სახელოვან მიღწევებს მეათე ხუთწლედის წლების მანძილზე. აჯამებს რა შედეგებს, მუშათა კლასი გონივრულად აფასებს თავის საქმეებს, ყურადღებას უთმობს გადასაწყვეტ საკითხებს. მუშაობის შემდგომი სრულყოფის მძლავრი სტიმული გახდა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

მოედანზეა ოქტომბრის სახელობის რაიონის წარმომადგენელთა კოლონა. წითელ დროშებსა და ტრანსპარანტებში მოჩანს ჩარხსაშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ ემბლემა. 75 წლის წინათ მოსკოვის ბარიკადებზე ქარხნის პროლეტარიატმა რევოლუციას ერთგულება შეჰფიცა. მუშათა კოლექტივის ბიოგრაფიის ფურცლები გახდა ბრძოლები იუნკერებთან 1917 წელს, პირველი ხუთწლედების წლები, ომის ძნელბედობის ვახტები. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობს საწარმოს მარკიანი ჩარხები. ოქტომბრის წლისთავს იგი ახალი გამარჯვებებით ხვდება. ტრანსპარანტებზე წარწერილი პატაკებია: „ვადამდე შევასრულეთ პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა“, „ხუთწლედის დავალების გადაჭარბებით გამოვუშვით 1100 ჩარხი“.

იმათ შორის, ვინც დღეს დემონსტრაციაზე გამოვიდა, არის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბრიგადირი ი. მალცევი.

— ეს ოთხჯერ მეტია, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში, — გვითხრა მქსოველმა ნ. ზჩერბაკოვამ — თაოსნობის ინიციატორმა, რომლის დევიზია „მოწინავის მიჯნა — თითოეულ მუშას“. მან, ისევე როგორც 1300 სხვა წარმოების მუშამ, დღესასწაულისათვის შესრულა პირადი ხუთწლიანი დავალება. მოწინავე მუშა, რომელიც გულუხვად უზიარებს გამოცდილებას ახალგაზრდობას, აზოგავს ფართოდ, სახელმწიფოებრივად. — მე განსაკუთრებით აღმფრთოვანა ამხანაგ ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ნათქვამმა სიტყვებმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს საქმის ვითარება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში. ეს ხომ ჩვენი, ჩემი ღვიძლი საქმეა. ჩვენ ყველას გული შეგვტკივა ამისათვის. სწორად თქვა ლეონიდ ილიას ძემ: მთავარია კარგად მოვიფიქროთ მუშაობის ორგანიზაცია, გაგაერთიანოთ მრეწველობის სხვადასხვა დარგის მეცადინეობა, რომლებზეც დამოკიდებულია საქონლის გამოშვება ხალხისათვის. ეს ეხება ჩვენს „ტრიოხგორკასაც“ — ჯერ კიდევ ყოველთვის დროზე და საჭირო ხარისხის ნედეულს, საღებავებს, ყოველივე საჭიროს როდი გვაწვდიან მომწოდებლები. მოგვარდება მომარაგება, და მაშინ ჩვენც შევეცდებით გამოვუშვათ მეტი ჩითი, სატინი, სხვა ქსოვილი.

სამკერვალო გაერთიანება „ბოლშევიჩკის“ მუშები შრომითი გამარჯვებებით გამოწვეული სიამაყის გრძნობით მიაბიჯებენ კოლონაში, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ „ოქროსი“. მისი მეწინავენი არიან წარჩინებული წარმოების მუშაკები, რომლებიც ატარებენ „ხელმარჯვე ოსტატის“ წოდებას: ხუთწლედის დამკვრელები ა. კომაროვა, ნ. პოდხიტკოვა, ვ. გრიდნევა. და მათი მუშური ოქროს ელვარება თითქოს გზას უნათებდეს გვერდით მიმავალ შეგირდებს, რომელთაგან ბევრმა პირველად მიიღო ეს სპეციალური უფლება — იყოს დემონსტრანტთა კოლონაში ქვეყნის მთავარ მოედანზე, სამშობლოს უპატაკოს კოლექტივის წარმატებანი.

„ბოლშევიჩკაში“ კანონად დამკვიდრდა: საკმარისია საამქროში შეესვლა მოვიდეს — და ფაბრიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის თითოეულ კურსდამთავრებულს მყისვე გაუჩნდება გამოცდილი დამრიგებელი. ოცდაათი წლის მუშაობის მანძილზე სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ვ. გრიდნიოვას, მაგალითად, ორმოცდაათამდე მოწაფე ჰყავდა. მათგან ზოგიერთი ოსტატი გახდა და სათავეში ჩაუდგა ბრიგადას.

მოედანზე შემოდიან ტომირიაზევის რაიონის წარმომადგენლები. და, როგორც ყოველთვის, მათ გვერდით ვხედავთ მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წარმოგზავნილთ.

სადღესასწაულო მოსკოვი მათი სახით მიესალმება ყველა მიწათმოქმედსა და მეცხოველეს. განსაკუთრებული ტაშით ხვდებიან ყაზახეთის მშრომელებს, იმიტომ, რომ რესპუბლიკის ყანებში ახალი შრომითი გამარჯვებაა მოპოვებული: სახელმწიფო ბეღლებში დაბინავებულია მილიარდ ფუთზე მეტი პური.

ლაპარაკობს სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მწერალი მიხეილ ალექსეევი:

— ოქტომბრის საყოველთაოსახალხო დღესასწაულზე ჩვენ უსათუოდ ვიხსენებთ ხოლმე სოფლის მშრომელს, რომელიც გვაძლევს პურს ჩვენი არსებისას. შორს აღარ არის ის დრო, როცა კომუნისტთა ფორუმი გაიხსნება. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მიწათმოქმედებიც — უდიდესი ცხოვრებისეული სიბრძნის, შრომითი გამოცდილების მქონე ადამიანები, რომელთა სიტყვას ყურად იღებს მთელი ქვეყანა. ვინაიდან ეს მიწის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონის გამოცდილებაა, რომელიც მას ბარაქიანს ხდის. და ამიტომ მისი მერმისიც მშვენიერია. დღეს, ჩვენს ყველაზე დიად, ჩვენს ყველაზე სასიხარულო დღესასწაულზე მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ვუძღვნა მიწათმოქმედს, მხვნელ-მთესველს.

მოსკოვის მუშების მხარდამხარ მოაბიჯებენ მოზეიმე კოლონებში მწერლები, მხატვრები, მსახიობები, რომლებიც შემოქმედებითს წვლილს მატებენ ხელოვნებისა და შრომის კავშირის განმტკიცებას, განასახიერებენ თავიანთ ნაწარმოებებში ჩვენი დღეების გმირებს — კომუნიზმის მშენებლებს.

დედაქალაქის ყოველ რაიონში მუშაობენ კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები, ან უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო კათედრები. მოდიან მოსკოველი მეცნიერები — მოდიან ადამიანები, რომლებიც საქმით უპასუხებენ პარტიის მოწოდებას — ავამაღლოთ კვლევის ეფექტიანობა, კიდევ უფრო მეტად განვამტკიცოთ წარმოებასთან კავშირი. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარონ სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულ შეხვედრას, განაგრძონ თავიანთი შემოქმედებითი წვლილი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მოდიან ადამიანები, რომლებიც ახალი კოსმოსური გამარჯვებების გზას კვალავენ, და ტრიბუნებიდან მათ მიესალმებიან, მადლობას უძღვნიან გმირი კოსმონავტები.

— ჩვენ ისტორიაში უმაგალითო გმირობის — ლეონიდ პოპოვისა და ვალერი რიუმინის 185 დღის პილოტირებული ფრენის მოწმენი გავხდით, — თქვა სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა ა. ლეონოვმა, — ეს შესანიშნავი საჩუქარია ხალხისა და ქვეყნისადმი დიდი ოქტომბრის დღესასწაულის დამდეგს. ღირსეული პატაკია პარტიისადმი მისი XXVI ყრილობის წინ.

ჩემი მეგობრების, სულით მტკიცე და თავდადებული ადამიანების ფრენა სამამულო მეცნიერების შემატებს ახალ ცოდნას მშობლიური პლანეტისა და მისი გარემომცველი სივრცის შესახებ, ბოვეს ფართო პრაქტიკულ გამოყენებას. ფრენამ, რომელშიც მომმე სოციალისტური ქვეყნების კოსმონავტებიც მონაწილეობდნენ, დაამტკიცა, რომ საერთო სოციალისტური მშენებლობით შედეგიანებული ჩვენი ხალხების მეგობრობა ახლა კოსმოსურმა თანამშრომლობამაც განამტკიცა.

მოედანს ახალგაზრდობა მოეფინა. „პარტიასთან ერთად — შრომისა და გმირობისათვის!“ — ასეთია ლენინის ანდერძის ერთგული სიჭაბუკის დევიზი, ასეთია მისი მოწინავე რაზმის — დედაქალაქის კომკავშირის დევიზი.

ახალგაზრდობამ შრომითი წარმატებებით უპატაკა პარტიას, ხალხს, ლენინური კომკავშირის დაბადების დღე. მნიშვნელოვანი ფაქტია მოყვანილი ამ პატაკში: საგრძნობი შეიტანეს მოიტანა მოსკოვის კომკავშირელთა მიერ დაწყებულმა მოძრაობამ, — შეხვედრდნენ რევოლუციის 63-ე წლისთავს პირადი შრომითი საჩუქრით.

ახალგაზრდების ახლანდელი გამარჯვებები შევა ლენინური კომკავშირის ბიოგრაფიაში, როგორც შევიდა მის მატიანეში დნეპრჰესი და მაგნიტკა, ყამირი და ბრატსკის ჰიდროელექტროსადგური.

მოედანს მეწამულმა ტალღამ გადაუარა — ალისფერი ვიმპელებით მოესალმება ოქტომბერს ჩვენი ნორჩი თაობა. ქალაშვილები და ჭაბუკები მამათა საქმის, რევოლუციის საქმის ერთგულების ფიცს დებენ. ოქტომბრის იდეები მარად ცოცხლობენ.

ოქტომბერი მუდამ ჩვენთან არის, ჩვენს საქმეებში, ჩვენს გულში. ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა ხალხი მშვიდობიანი, აღმშენებლობითი შრომით ამრავლებს სამშობლოს ძლიერებას.

წითელი მოედნიდან რეპორტაჟი მიჰყავდათ საკ-დესის კორესპონდენტებს ბ. ბოროდინიას, ვ. ვოლნოვს, ლ. ერმაკოვას, ვ. სეროვს, ე. ხორევას.

დიდი ოქტომბრის დღესასწაული ჩვენი ქვეყნის ქალაქებში

მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. 7 ნოემბერს გამართული საზეიმო დემონსტრაციების მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ: **ლენინგრადში** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი; **კიევში** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ა. ხალოლოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. იარაგიმოვი; **ვილნიუსში** — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბ. გრიგიკაიჩიუნი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ს. ბარკაუსკასი, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ა. მანიუშისი; **ალმა-ათაში** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ნ. იმაშევი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. აშიმოვი; **მინსკში** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ი. კისელიოვი, ბელორუსის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ე. პოლიაკოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. აქსიონოვი; **ტაშკენტში** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ბ. უსმანხოჯაევი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. დ. ხუდაიბერდიევი; **ბაკოში** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ა. ხალოლოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. იბრაგიმოვი; **ვილნიუსში** — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბ. გრიგიკაიჩიუნი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ს. ბარკაუსკასი, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ა. მანიუშისი; **ეშენაოში** — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. ბოდიული, მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ჰ. კალინი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. კ. გროსუ; **რიგაში** — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ე. ვოსი, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ი. სტრაუტმანისი; **ტალინში** — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. სალასტინა, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. ვეზენბერგი; **ფრუნზეში** — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. უ. უსუბალიევი, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. დუიშეიევი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ი. იბრაიმოვი; **დუშანბეში** — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. რასულოვი, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ხოლოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რ. ნაბიევი; **ერევანში** — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჩიანი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ე. სარქისოვი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. ტ. სარქისიანი; **აშხაბადში** — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მ. გ. გაპუროვი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. იაზყულიევი, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჩ. ს. კარიევი; **ტალინში** — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. გ. ვაინო, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. გ. კებინი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. კლაუსონი. (საკდესი).

ზეიმოს პლანეტა

მსოფლიო პროგრესული საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავს. საღღესასწაულო კრებებსა და მიტინგებზე, რომლებიც ამ შესანიშნავ თარიღს ეძღვნება, ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს დიდი ოქტომბრის იდეებს, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში.

სოფია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავის გამო აქ გაიმართა საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

მოხსენება გააკეთა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ს. კარაჯოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა სოციალურ-ეკონომიკურ დარგში. და დღესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მის მეთაურს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 7 ნოემბერი. ცენტრალური ტრიბუნა რუსთაველის პროსპექტზე. ს. კილაძისა და ბ. ლომაძის ფოტო.

გამარჯვებით ფრთაშესხმული შევხვდით ოქტომბერს

სამხედრო პარადი და თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია

ჩვენს მთავარ და უძვირფასეს დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის დღესასწაულს საბჭოთა ადამიანი უკვაშრეს სამშობლოს ძლიერებას, კეთილდღეობასა და აყვავებას. ეს დღე ასახავს მთელ ჩვენს ცხოვრებას, მთელ ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანას მთელი თავისი სილამაზით, რიტმით, მოძრაობით, აღმშენებლობითი საქმეებით. ასე აისახება წვეთ წყალში უკიდეგანო ოკეანე.

სამოცდამესამე ოქტომბერს რესპუბლიკა ხვდება მთელი თავისი ძალების მაქსიმალური მობილიზაციით, რათა ღირსეულად გავიდეს ხუთწლედის დაგეგმილ მიჯნებზე. საქმე კარგად მიდის, მუშაობის ბევრ უბანზე მშრომელები გამარჯვებას ზეიმობენ. სიტყვა „პირველად“ სასიხარულოდ ეღერს სადღესასწაულო კონტექსტში.

ხუთწლედის ვადამდე შესრულება ჯერ კიდევ ოქტომბრის დამლევს უპატაკეს სამშობლოს თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა: პირველად სამრეწველო წარმოების ზრდის მოცულობამ შეადგინა 38,2 პროცენტი.

ჩაისა და უურძნის რეკორდული მოსავალი მოიწეს საქართველოს სოფლის მშრომელებმა.

პირველად რესპუბლიკის მეეფახიობის ისტორიაში მოიკრიფა დაახლოებით 800 ათასი ტონა ყურძენი.

პირველად ჩაის ნაკადმა გადააჭარბა ნახევარი მილიონი ტონის მიჯნას.

დღესასწაულის წინ უკანასკნელი, მეხუთე აგრეგატის ამუშავებით ვადამდე სრული სიმძლავრით ამოქმედდა ამიერკავკასიის უდიდესი ენერგოგენერატი — ენგურის ჰიდროელექტროსადგური.

ასეთია მშრომელი საქართველოს ნობათი ოქტომბრისათვის, რესპუბლიკის მშრომელთა პასუხი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებებზე.

შთამბეჭდავი შრომითი პატაკები ჩამოიტანეს საქართველოს დედაქალაქში „ოქტომბრო დამცველური ვახტის გამარჯვებულებმა. საზეიმოდ შორთეულ რუსთაველის პროსპექტზე — მშრომელთა სადღესასწაულო სვლის ტრადიციულ ადგილზე — გამოირბენა ტრანსპარანტი, რომელზეც წარწერილია „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს დამკვრელური ფინიში!“. ეს არის ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს დღევანდელი ზეიმის მთავარი თემა.

... საათის ისარი ათს უახლოვდება, საბრძოლო დროშებქვეშ ჩამწკრივებულან თბილისის გარნიზონის ჯარის ქვეგანაყოფები, ბეთონე პარადზე ჩამოსული ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ქვეგანაყოფები, ყველაფერი მზად არის ჯარების სადღესასწაულო პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის დაწყებისათვის. სტუმართა ტრიბუნებზე არიან რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, დედაქალაქის საწარმოთა მოწინავენი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების წარმოგზავნილნი, პარტიისა და რევოლუციის ვეტერანები, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების გმირები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ი. ინაური, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ხ. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ფ. კ. ბარტავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სიხარულიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია, ო. გ. ვარძელაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ი. ი. ქედეშვილი, ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ნ. ი. შარინკინი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების სარდალი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების პირველი მოადგილის გენერალ-ლეიტენანტ ვ. ვ. სალტიკოვის პატაკს და მასთან ერთად იწყებს ჩამწკრივებული ჯარების შემოვლას, დღესასწაულს ულოცავს მეომრებს. პასუხად გაისმის ომახანარი „ვაშა!“. ჯარების შემოვლის შემდეგ ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ო. თ. კულიშევი ცენტრალურ ტრიბუნაზე ადის და სიტყვას წარმოთქვამს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის სახელითა და დავალებით იგი მხურვალედ მიესალმება და ულოცავს ჯარისკაცებს, სერჟანტებს, პრაპორშჩიკებს, ოფიცრებსა და გენერლებს, საბჭოთა საქართველოს მშრომელთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავს.

— ოქტომბრის ახლანდელი დღესასწაული, — ამბობს ამხ. კულიშევი, — აღნიშნულია მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენით საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, შესანიშნავი შემოქმედებითი მიღწევებით, რომლებიც ცხადყოფენ განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების დიდ აღმშენებლობითს ძალას. დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყველა საქმე და ფიქრი იქითკენ არის მიმართული, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მკაფიო, ღრმად შინაარსიანი სიტყვით აღფრთოვანებულნი ისინი დამკვრელური შრომით უპასუხებენ პარტიის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სწრაფი ტემპით ვითარდება სოციალისტური ინდუსტრია. სახელოვანი გამარჯვებებით აღინიშნა სოფლის მეურნეობის მშრომელთა საქმეები.

მომმე ხალხების ერთსულოვან ოჯახში კომუნისტური მშენებლობის ყველა სფეროში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს საქართველოს და რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის მშრომელებმა. ოქტომბრის დღესასწაულს რომ ეგებებოდნენ, მათ კიდევ უფრო მაღლა ასწიეს საყოველთაო სოციალისტური შეჯიბრების დროშა, შესანიშნავი შრომითი წარმატებებით გაახარეს სამშობლო.

დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე დგანან გამარჯვებების დიდებით მოსილი უაღრესად ძ�sაბრძოლო ტექნიკა, ბალისტიკური რაკეტები, ატომურ-ბირთვული ელვარებით ანთებული ბრძოლის ფრენა, ბალისტიკური ბირთვული ბომბდამშენები, ბალისტიკური ბირთვული ბომბდამშენ-ბალისტიკური ბირთვული ბომბდამშენ-ბალისტიკური ბირთვული ბომბდამშენ-

ზეიმობს საქართველო

გვატყობინებენ გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი და საქინფორმის კორესპონდენტები

სოხუმი

საზეიმოდ მორთულ სოხუმში დილის 11 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. ვ. ი. ლენინის მოედნის ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, სხვა პარტიული, საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიისა და სამამულო ომის ვეტერანები, შრომითი კოლექტივების მოწინავენი, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

სამრეწველო საწარმოთა კოლონებს მოუძღვის ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ კოლექტივი, რომელიც დიდი შრომითი გამარჯვებით შეხვდა დღესასწაულს, პირველი ნომბრისათვის შესრულა პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით.

დემონსტრანტთა კოლონებში არიან საკონდიტრო ფაბრიკის, აფხაზღვინოკომბინატის, თევზკომბინატის, ქიმიური და გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნების, საქსოვი, სუვენირებისა და საგალანტერეო ფაბრიკების, ტყავ-ფეხსაცმლის, საკონსერვო და ხორცის კომბინატების კოლექტივები, რომლებსაც თან მოაქვთ თავიანთი პროდუქციის ნიმუშები. მწყობრი ნაბიჯებით ჩაიარეს სამშენებლო, რკინიგზის, საავიაციო, საზღვაო, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა მუშაკებმა.

მოედანზე შემოდის სოხუმის რაიონის ხალხმრავალი, ლამაზად გაფორმებული კოლონა, რომელსაც მოუძღვიან რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

ქალაქის სტუდენტთა და მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი კოლონების წინა რიგებში მოდიან აფხაზეთის სახელოვანი სპორტსმენები.

სოხუმის მშრომელთა დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთში სტუმრად ჩამოსულმა მრავალმა დამსვენებელმა და ტურისტმა.

● ●

სურათზე: მშრომელთა დემონსტრაცია სოხუმში.

ბათუმი

სამგზის ორდენოსანი აჭარა ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეგებება დიდ ოქტომბერს. მეჩაიეებმა ექვსი წლის გეგმა ხუთ წელიწადში შესრულეს. გეგმის გადამეტებით წარმოებულია ათიათასობით ტონ ციტრუსი, მილიონობით მანეთის სამრეწველო პროდუქცია. მრავალმა საწარმომ ვადამდე შესრულა ხუთწლედისა და მიმდინარე წლის გეგმები. აშენდა ახალი ფაბრიკები, სკოლები, დასასვენებელი სახლები, ხოლო ექვს ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტი — სამგორ-ბათუმის ნავთობსადენი, რომელშიც უკვე მოჩქეფს ქართული ნავთობი.

დიად დღესასწაულს პატარძალივით მორთული შეხვდა აჭარის დედაქალაქი ბათუმი. 10 საათზე დაიწყო საზეიმო დემონსტრაცია. ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

მოზეიმე კოლონებს მიუძღვიან პარტიის ვეტერანები. მათ მიჰყვებიან სკოლების, ტექნიკუმების, სასწავლებლების, პედაგოგიური ინსტიტუტის მრავალათასიანი კოლონები. ლენინის მოედანს ალისფერი დროშებით ავსებს ქალაქის სახელოვანი მუშათა კლასი, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საყოფაცხოვრებო მანქანათმაშენებელი ქარხნის კოლექტივი, მენავთობეები, გემთმშენებლები, მეავეჯეები, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მეზღვაურები, ტრანსპორტელები, მედიცინის, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები.

ერთსულოვანი დარაზმულობით ბათუმელებმა გამოხატეს თავიანთი ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, მშვიდობის საქმისადმი.

● ●

სურათზე: მშრომელთა დემონსტრაცია ბათუმში.

ცხინვალი

ოქტომბრის წლისთავს შრომითი გამარჯვებებით შეეგებნენ სამხრეთ ოსეთის მშრომელები. ძირითადად წარმატებით დამთავრდა მეათე ხუთწლედის ნაკისრი ვალდებულებები. ამიტომაც მეტად საზეიმო განწყობილებაა ქალაქად და სოფლად.

დღესასწაული ახალი შრომითი ნობათებით აღნიშნეს ტრანსკავკასიის საავტომობილო გზის მშენებლებმა. მათ 1236 მეტრზე გაიყვანეს გვირაბი. შრომითი მიღწევები მოიპოვეს აგრეთვე ოლქის მრეწველობისა და სოფლის მუშაკებმა, წარმატებით სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის თაობაზე. საგანგებოდ მოირთო და მოიკაზმა ცხინვალი. ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მშრომელთა დემონსტრაცია. ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი და სხვა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები.

დემონსტრაციას იწყებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გვერდები. მშრომელთა ნაკრები კოლონა. მას მოჰყვებიან მოსწავლე ახალგაზრდობის კოლონები, ტრიბუნებს სიმღერებით ჩაუარეს ქალაქის თორმეტივე საშუალო სკოლის, პროფტექნიკური სასწავლებლების, სამედიცინო და სამხატვრო სკოლების, პედაგოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდებმა. მათ მიაქვთ ლოზუნგები, პლაკატები, მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები.

ტრიბუნებს მწყობრად ჩაუარეს ქალაქის მუშათა კლასის კოლონებმა. ესენი არიან სამკერვალო ფაბრიკის, ხე-ტყის კომბინატის, ელექტროვიბრაციული მანქანების, მომინანქრებული სადენების, მექანიკური, ქიმიური და სხვა ქარხნების კოლექტივების წარმომადგენლები, ისინი, ვინც დროს გაუსწრო და განამტკიცა ოქტომბრის მზის ნათელია, ბედნიერი ცხოვრების ნაყოფია.

● ●

სურათზე: მშრომელთა დემონსტრაცია ცხინვალში.

საერთაშორისო ცხოვრება

ლენინის ზურგზე

საგჭოთა კავშირის დღეები ანგოლაში

ლუანდა, 7 ნოემბერი. ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში დაიწყო საბჭოთა კავშირის დღეები. ტრადიციისამებრ ეს ღონისძიებანი დიდი ოქტომბრის წლისთავს უკავშირდება.

წელს მრავალი ღონისძიების ორგანიზაციაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს სს რესპუბლიკის წარგზავნილნი. ლუანდაში, უამბოში, ლობიტუში, ლუბანგოსა და სხვა ქალაქებში გაიმართება საზეიმო კრებები, რესპუბლიკის ყველა პროვინციაში აჩვენებენ საბჭოთა კინოფილმებს, მოეწყობა სხვადასხვა გამოფენები. ლუანდაში გაიმართება სსრ კავშირ-ანგოლის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციათა შეხვედრა ანგოლის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

ირან-ერაყის კონფლიქტი

ბაღდადი, 7 ნოემბერი. საომარი მოქმედება ერაყისა და ირანის ჯარებს შორის ფრონტის მთელ ხაზზე მიმდინარეობს. ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის ცნობით, ერაყის თვითმფრინავებმა გუშინ დარტყმა მიაყენეს ირანის ჯარების პოზიციებს ფრონტის სამხრეთ და ჩრდილოეთ უბნებზე. მოსაობილია მოწინააღმდეგის დიდძალი საბრძოლო ტექნიკა. სპარსეთის ყურეში ჩაძირეს ირანის კატარღა. ირანის მხარეს დაუხოცეს ჯარისკაცები.

თეირანი, 7 ნოემბერი. ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული ეფექტიან ღონისძიებებს დასავლეთ ინდოეთის შტატის რაჯასტჰანის მოსახლეობის დასახმარებლად, რომელიც ძლიერი გვალვისაგან დაზარალდა. შტატის მთელ ტერიტორიაზე, რომელზეც 15 მილიონი კაცი ცხოვრობს, შექმნილია პუნქტები, სადაც შეუძლიათ მიიღონ სასმელი წყალი და უფასო საკვები პროდუქტებისთვის, მასობრივად ხმარობენ ჭუბსა და არხებს. რაჯასტჰანი გამოცხადებულია უბედურების რაიონად: იქ უკვე ორი წელია პრაქტიკულად არ მოსულა ნალექები.

კოკისპირული წვიმები

ბრაზილია. ექვსი კაცი დაიღუპა კოკისპირული წვიმების შედეგად, რომელიც თავს დაატყდა ბაიას შტატის დედაქალაქ სალვადორს. ამის იუწყება ეროვნული რადიო. დახურულია ადგილობრივი აეროპორტი, დაგვიანებულია საავტომობილო გზების მთელი რიგი ხიდები.

ამავე დროს ამ შტატის შიდა რაიონებში ძლიერდება გვალვა.

ორი წელი უნაღდოდ

დელი. ქვეყნის მთავრობა ახორციელებს ეფექტიან ღონისძიებებს დასავლეთ ინდოეთის შტატის რაჯასტჰანის მოსახლეობის დასახმარებლად, რომელიც ძლიერი გვალვისაგან დაზარალდა. შტატის მთელ ტერიტორიაზე, რომელზეც 15 მილიონი კაცი ცხოვრობს, შექმნილია პუნქტები, სადაც შეუძლიათ მიიღონ სასმელი წყალი და უფასო საკვები პროდუქტებისთვის, მასობრივად ხმარობენ ჭუბსა და არხებს. რაჯასტჰანი გამოცხადებულია უბედურების რაიონად: იქ უკვე ორი წელია პრაქტიკულად არ მოსულა ნალექები.

არჩევნების საბოლოო შედეგები

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი. შეჯამებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული არჩევნების საბოლოო შედეგები. რ. რეიგანმა, რომელიც სათავეში უდგას რესპუბლიკელთა პარტიას, გაიმარჯვა ახლანდელ პრეზიდენტზე, დემოკრატთა პარტიის ლიდერ ჯ. კარტერზე 50-დან 44 შტატში და მოიპოვა 538-დან 489 ამრჩევის მხარდაჭერა, რომლებმაც დეკემბერში ოფიციალურად უნდა აირჩიონ პრეზიდენტი.

დემოკრატთა პარტიამ სენიოზული დამარცხება განიცადა კონგრესის ზედა პალატის — სენატის არჩევნებში. წინასწარი მონაცემების თანახმად, ახალი შემადგენლობის სენატში იქნება 53 რესპუბლიკელი (ახლანდელი შემადგენლობის 41-ის ნაცვლად) და 46 დემოკრატი (58-ის ნაცვლად), ერთიც — დამოუკიდებელი.

მნიშვნელოვნად გაუარესდა დემოკრატთა პარტიის პოზიციები წარმომადგენელთა პალატაშიც, სადაც ამ პარტიას 276-ის ნაცვლად 242 ადგილი ექნება. რესპუბლიკელებმა გაზარდეს თავიანთი წარმომადგენლობა 159 ადგილიდან 191-მდე. 13 შტატში გამართულ გუბერნატორის არჩევნებში რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს 8 შტატში, ხოლო დემოკრატებმა — 5-ში. ახლა რესპუბლიკელთა პარტიას ექნება 50-დან 23 გუბერნატორის პოსტი, ხოლო დემოკრატებს — 27. არჩევნებამდე ეს თანაფარდობა შეადგენდა 31:19 დემოკრატთა სასარგებლოდ.

განმარტავენ რა არჩევნების შედეგებს, ამერიკელი პოლიტიკური მიმმხილველნი განსაკუთრებით აღნიშნავენ ამომრჩეველთა აპათეას. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე ამერიკელთა მხოლოდ 52,3 პროცენტმა. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია უკანასკნელი 32 წლის მანძილზე. 76 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა ფაქტობრივად ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს, ამის შედეგად რ. რეიგანი თეთრ სახლში აირჩია ხმის უფლების მქონე ამერიკელთა სულ 26 პროცენტმა.

გამარჯვების სიხარული

სახელმწიფო პრემია — ქართველ კინემატოგრაფისტებს

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის 1980 წლის ლაურეატთა შორის არის ქართული ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“. უფრო სწორად, მთელმა დამდგმელმა ჯგუფმა, — დამდგმელმა რეჟისორმა და სცენარის ავტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ლანა ღოღობერიძემ, სცენარის ავტორებმა ზაირა არსენიშვილმა და ერლომ ახვლედიანმა, მთავარი როლის შემსრულებელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა სოფიკო ჭიაურელმა, ოპერატორმა ნუგზარ ერქომაიშვილმა და რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა ქრისტესია ლებანიძემ მიიღო ეს საპატიო ჯილდო.

— გილოცავთ და გთხოვთ ინტერვიუს, ოღონდ... არა პირად საკითხებზე... — ვეუბნებით ლ. ღოღობერიძეს.

— რა თქმა უნდა, ძალზე გახარებული ვართ. ეს ფაქტი მთელი ქართული კინემატოგრაფიის ახალი გამარჯვებაა. კინემატოგრაფიისა, რომელშიც დღესდღეობით დიდად განთლებული და მაღალნიჭიერი რეჟისორების, სცენარისტების, ოპერატორების, კომპოზიტორების მთელი არმია მოღვაწეობს.

მადლობის მეტი რა გვეთქმის, ვეცდებით მეტი გავაკეთოთ...

● ●

სურათზე: ფილმის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ დამდგმელი ჯგუფი — სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები: მარცხნიდან — ნ. ერქომაიშვილი, ზ. არსენიშვილი, ს. ჭიაურელი, ლ. ღოღობერიძე, ჭ. ლებანიძე და ე. ახვლედიანი.

ვ. ბენგიშვილის ფოტო.

ილვწოდე ხალხისათვის

გვესაუბრება გ. მ. მარკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის კომიტეტის თავმჯდომარე.

მაშ ასე, ცნობილი გახდა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ახალი ლაურეატები, რომელთა შემოქმედებამ გაამდიდრა საბჭოეთის ლიტერატურისა და ხელოვნების საგანძური და მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის აყვავების ნათელი დადასტურება გახდა.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ცნობილ უკრაინელ პროზაიკოს პავლე ზაგრებელნის რომანისათვის „გაქანება“. ეს ნაწარმოები ალალმართლად და დამაჯერებლად მოგვითხრობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია აქტიურ, პრინციპულ პოზიციას ადგე ცხოვრებაში. ავტორი ასახავს იდეათა ქიდილს თანამედროვე მეცნიერების სამყაროში, გვიჩვენებს, თუ რა შეურიგებელი კონფლიქტი იქმნება, როცა ერთმანეთს უპირისპირდებიან საქმისათვის უანგაროდ თავდადებული, შემოქმედი ადამიანები და თავკერძა, თავიანთი ვიწრო სამყაროსა და პირადი ინტერესების მიღმა ყველაფრისადმი გულგრილი პიროვნებანი, რაც რომანში ქმნის აზრებისა და გრძნობების დაძაბულ ატმოსფეროს.

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების გზაზე ნიშანსვეტებად ქცეული ბოლო წლების პიესებისათვის პრემია მიენიჭა ცნობილ დრამატურგს ალექსი არბუზოვს. მისი ნაწარმოებების გმირები სულით ძლიერი, მტკიცე რწმენის, მომავლისაკენ პოეტური სწრაფვის ადამიანები არიან. სცენაზე განსახიერებული მათი ბედი, ნათელი და მტკიცე ხასიათები ამკვიდრებს პატრიოტიზმს, ჩვენი საზოგადოების მაღალ ზნეობრივ ნორმებს, სიკეთის დიადი ძალის რწმენას.

უზბეკეთის სახალხო მწერლის ხამიდ გულიამის რომანი „უკვდავება“ ეძღვნება ამ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დაფყარების წლებს. მასში მკაფიოდ არის გადმოცემული ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში 20-იანი წლების რთული სოციალურ-კლასობრივი ბრძოლა. ეს ნაწარმოები არსებითი წვლილია შუა აზიის რეალისტური პროზის განვითარებაში.

ხალხის გმირობას — ყამირის ათვისებას ასახავს ოთხსერიანი მხატვრული ფილმი „პურის გემო“, რომელიც მოსკოვისა და ალმა-ათის კინემატოგრაფისტებმა შექმნეს რეჟისორ ალექსი სახაროვის ხელმძღვანელობით. პრემია მიენიჭა შემოქმედებითი კოლექტივის დიდ ნაშუშევარს, რომელმაც შეძლო შთამბეჭდავად და ალალმართლად ეჩვენებინა ეკრანებზე უმაგალითო მასშტაბის ბრძოლა პურისათვის, რომელიც მიმდინარეობდა არა მარტო მინდვრებში, არამედ მეცნიერთა ლაბორატორიებში, საწარმოებში და მშენებლობებზე, პარტიულ ხელმძღვანელთა კაბინეტებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა კოლექტივს რეჟისორ ლანა ღოღობერიძის მეთაურობით ფილმისათვის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“. ავტორებმა მაყურებელს გააცნეს ჩვენი თანამედროვე ქალი, ნიჭიერი, სულიერად მდიდარი ადამიანი. სოფიკო ჭიაურელის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული მთავარი გმირის როლი უუოდდ დამშვენებს სახელოვანი საბჭოთა ქალების ეკრანული სახეების გალერეას.

ქვეყნის კულტურული ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა კიევის ი. ვ. ფრანკოს სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლები „შმაგი ანგელოზი“ და „ძია ვანო“. თანამედროვე პიესაში მაყურებელმა იხილა დიდი და სხვადასხვა ხასიათები, რომელთაც ეპოქის განუმეორებელი ნიშანი ატყვიათ. „ძია ვანოში“ კი თეატრმა შეძლო ეჩვენებინა ჭეშმარიტად ჩეზოვისეული გმირები, ახლებურად და საინტერესოდ წარმოედგინა ნაწარმოები, რომელსაც დიდი სცენური ისტორია აქვს. პიესა „შმაგი ანგელოზის“ ავტორი ალექსი კოლომიეცი, ორივე სპექტაკლის დამდგმელები და მთავარი როლების შემსრულებელნი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატები გახდნენ.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტმა, ბალერინა ირინე კოლპაკოვამ დიდი ხანია პოპულარობა მოიპოვა კლასიკური და თანამედროვე რეპერტუარის პარტიების შესრულებით. ზეშთაგონებით, მაღალი საშემსრულებლო კულტურით გამოირჩევა ცეკვის ეს დიდოსტატი, რომელსაც დღეს პრემია მიენიჭა. ლაურეატები გახდნენ აგრეთვე აზერბაიჯანის მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე დადგმული ბალეტის „ათას ერთი ღამის“ შემქმნელები. კომპოზიტორმა ფიქრეთ ამიროვმა, სპექტაკლის დამდგმელებმა და შემსრულებლებმა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკის შედევრზე მუშაობისას არ უღალატეს ეროვნული ფოლკლორის ტრადიციებს და მაღალი ოსტატობა გამოავლინეს.

ტელემაყურებლისათვის კარგად არის ცნობილი ცენტრალური ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველის ალექსანდრე კავერზნევის სახელი. მისი ფართო ერუდიცია, პოლიტიკური სიფხიზლე და პუბლიცისტური მგზნებარება ნათლად ვლინდება საერთაშორისო კომენტარებშიც, რომლითაც ავტორი მუდამ გამოდის ტელეეკრანზე, და ისეთ დიდ ნამუშევრებშიც, როგორიც არის გადაცემების ციკლი „მაოს მემკვიდრენი“, დოკუმენტური ფილმები „გაზაფხული პნომპენში“ და „კუბის პორტრეტები“. ტელევიზიის დარგში კიდევ ერთი პრემია მიენიჭა პროფესორ ს. ს. კაპიცასა და ლ. ნ. ნიკოლაევს მუდმივი პროგრამისათვის „აშკარა — დაუჯერებელი“, ტელეფილმებისათვის „ჩასწვდე მიუწვდომელს“, „ცოცხალი სამყარო“, „საიდუმლო“. თანამედროვე მეცნიერების ყველაზე რთულ პრობლემებზე პოპულარულად თხრობის, მეცნიერული ძიების რომანტიკით, ტელემაყურებლის გატაცების უნარით გამოირჩევა ეს ნაშუშევრები.

ფილოსოფიური სიღრმე და ადამიანთა ხასიათების ფაქიზი გამოკვლევა, მათი გაბედული განვითარება ახასიათებს კომპოზიტორ გიორგი სვირიდოვის შემოქმედებას. ეს თვისება მთელი სისრულით გამოვლინდა ოსტატის ახალ ნამუშევარშიც. ეს არის კონცერტი გუნდისათვის „პუშკინის გვირგვინი“, კომპოზიტორმა დიდი მხატვრული ტაქტით განასახიერა მუსიკაში დიდი პოეტის ლექსების ხატოვანი წყობა.

დიმიტრი კაბალევსკის შემოქმედება მშვიდოდ არის დაკავშირებული სიყმაწვილის თემასთან. № 4 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის („პრაღული“), გამოირჩევა ხალხური ნიადაგზე შექმნილი ფორმის სიზუსტით, მკაფიო მელოდიურობით. იგი გამსჭვალულია ოპტიმიზმითა და სიცოცხლისუნარიანობით. ეს ნაწარმოები ახალი დადასტურებაა კომპოზიტორის მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისა მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის დარგში.

საპატიო ჯილდო მიენიჭათ ტალინში დადგმული მწერალ ა. ტამსარეს ძეგლისა და დუშანბეში დადგმული მწერალ ს. აინის ძეგლის ავტორებს. ეს ნაწარმოებები დამთავალიერებელს აზიარებენ გამოჩენილ სიტყვის ოსტატთა სულიერ სამყაროს, ეხმარებიან ჩასწვდნენ მათი აზრებისა და იდეების სიღიადეს.

მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთის ტროპარევოს საცხოვრებელი მასივის არქიტექტორებმა, ინჟინრებმა, მშენებელ-მემონტაჟეებმა შექმნეს მოცულობით-სივრცობრივი კომპოზიცია, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფს კარგ პირობებს მოსახლეობისათვის, არამედ მკაფიო მხატვრული ერით ფერების მარჯვე გადაწყვეტითაა აღსანიშნავი. ეს ნამუშევარი — ინდუსტრიული მშენებლობის განვითარების ახალი ეტაპი ხასიათდება მასობრივი საცხოვრებელი ნაგებობის გაუმჯობესებული ხარისხითა და ესთეტიკური გამოსახველობით. სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ აგრეთვე ალუშტის ბანაკ-პანსიონატის „ჩაიკის“ არქიტექტორებსა და მშენებლებს, რომლებმაც მარჯვედ გამოიყენეს შავი ზღვის სანაპიროს მთაგორიანი რელიეფი და შექმნეს თვალისგასახარელი საღღესასწაულო ანსამბლი.

ახალ ლაურეატთა შორის არიან ფუნდამენტური შრომების ავტორები ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დარგში. ეს არის აკადემიკოსი მ. ბ. ხრაპჩენკო, რომელმაც დაწერა წიგნი „მხატვრული შემოქმედება, სინამდვილე, ადამიანი“, რითაც ახალი სიტყვა თქვა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში. დახვეწილი მხატვრული ანალიზით, მეცნიერული სიღრმით გამოირჩევა ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორის ვ. ს. კემენოვის წიგნები „ველასკეზის სურათები“ და „ველასკეზი სსრ კავშირის მუზეუმებში“.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მინიჭება ყოველთვის საბჭოთა კულტურის შემოქმედებითს მიღწევათა დათვალიერებაა. საბჭოთა ადამიანები ულოკავენ ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებს დიდ წარმატებებს და ელიან მათგან ჩვენი გმირული დროისადმი მიძღვნილ ახალ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს.

(საკ.ინფ.).

კ. დ. ბუჯიაშვილი



გარდაიცვალა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი ექვსი წლიდან კონსტანტინე დიმიტრის ძე **ბუჯიაშვილი.**

კ. დ. ბუჯიაშვილი დაბადებულა 1904 წელს გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევში, მეკედლის ოჯახში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1918 წლიდან თბილისის ქარხანა „არსენალში“ (ახლანდელი ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა) ჯერ შეგირდად, შემდეგ — ხარატად, სადაც ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. 1927 წელს მას საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად ირჩევენ, შემდეგ — კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტის მდივნად, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად და ამიერკავკასიის ალკკ სამდივნოს წევრად. 1932 წლიდან სხვადასხვა დროს იყო პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, პარტიის ხულოს, პარტიის თბილისის ლენინის რაიკომების პირველი მდივანი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის მმართველი, თბილისის საავიაციო ქარხნის მშენებლობის სამმართველოს უფროსი და დირექტორის მოადგილე, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

1952 წელს აირჩიეს პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად. 1953 წლიდან 1969 წლამდე, როცა პენსიაზე გავიდა და მას შემდეგაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, სხვადასხვა ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობებზე მუშაობდა.

მრავალი წლის განმავლობაში ქ. დ. ბუჯიაშვილი თავის ნაშრომებითა და გამოსვლებით ეწეოდა პროპაგანდას პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, აგრეთვე წარმოების ეკონომიკის საკითხებზე. 1931 წელს ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „საქართველოს კომკავშირი ახალ ეტაპზე“.

ქ. დ. ბუჯიაშვილი სხვადასხვა დროს არჩეული იყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ამიერკავკასიისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს სსრ რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ქ. დ. ბუჯიაშვილი არჩეული იყო სკკპ XVI და XIX ყრილობების, საქართველოს კომპარტიის VIII, XIII, XIV და XV ყრილობების, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის VI ყრილობის და ალკკ ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატად, მიღებული ჰქონდა „შრომის წითელი დროშის“, „წითელი ვარსკვლავის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენები და მრავალი მედალი.

პარტიის, კომკავშირისა და შრომის ვეტერანის ქ. ბუჯიაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ყაბალი



მეორე გამარჯვება

სოხუმში გაიმართა სსრ კავშირისა და პოლონეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მეორე შეხვედრა. ეს მატჩიც საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა. ამჯერად ანგარიშით 2:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ვ. ხუდიაკოვმა და გ. გოგრიჭიანმა. ეს უკანასკნელი თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა შემადგენლობაში თამაშობს. იგი პოლონელ ი. ვიდროვსკისთან ერთად მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

პირველი ეტაპის შემდეგ

ზაპოროჟიესა და კაუნასში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ეტაპის მატჩები. თბილისის „ქარიშხალმა“ კაუნასში იასპარეზა. თბილისელები მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან და კაუნასის „გრანიტასთან“ დამარცხდნენ (24:27 და 25:28), შემდეგ კი ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვეს: კიევისა და ლვოვის არმიელთა გუნდებთან, აგრეთვე, რიგის „ცელტნიექსთან“ (30:25, 23:21 და 24:20).

თორმეტ გუნდს შორის პირველი წრის პირველი ეტაპის მატჩების შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (10) ლიდერობს ცსკა. მომდევნო ადგილებზე არიან კაუნასის „გრანიტასი“ — 8 ქულა, თბილისის „ქარიშხალა“ და მინსკის არმიელთა გუნდი — 6-6, მოსკოვის „კუნცევო“, ზაპოროჟიეს „ალუმინსტროო“, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, რიგის „ცელტნიექსი“, კიევისა და ლვოვის არმიელთა გუნდები — 4-4. ზაპოროჟიეს ინდუსტრიული და კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივებმა 3-3 ქულა დაგროვეს.

დღეს და ხვალ

დღეს გაიმართება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეთერთმეტე ტურის ექვსი შეხვედრა. „ყაირათი“ უმასპინძლებს მინსკის „დინამოს“, „ფახთაქორი“ — „ზენიტს“, „ჩერნომორეცი“ — ცსკას, „კარპატი“ — „ლოკომოტივს“, „ყუბანი“ — დონის როსტოვის არმიელთა გუნდს, ხოლო თბილისს „დინამო“ — „არარატს“. თბილისის „დინამოსა“ და „არარატის“ დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელებმა — 2:0. გოლები გაიტანეს ყორდანიამ და ჯოხაძემ.

ხვალ ამ ტურის ბოლო სამი მატჩი მოეწყობა. „ნეფთჩი“ მიიღებს მოსკოვის „დინამოს“, კიევის „დინამო“ — „ტორპედოს“, „მატჩიორი“ — „სპარტაკს“.

„კომუნისტის“ ფოტოსტენდი

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ საქვეყნოდ აღიარებულ სპორტსმენს, მშვილდოსნობაში ოლიმპიურ ჩემპიონს ქეთევან ლოსაბერიძეს და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ მხატვრულ ტანვარჯიშში უკვე საკმაოდ დაოსტატებულ ირინე ყემჩუდინას. ერთიც და მეორეც თბილისელნი. ლოსაბერიძე უკვე დიდი ხანია სტაბილური შედეგებით გვახარებს. არ არის შეჯიბრება, რომელშიც იგი სპორტში ადგილზე არ გამოვი